**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

**საქსტატი**

0180 თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №30, ტელ: (995 32) 236 72 10/207, ფაქსი: (995 32) 236 72 10/204

ელ-ფოსტა: info@geostat.ge ვებ-გვერდი: www.geostat.ge


# სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევა

**კითხვარი № 05.5.6.1 (წლიური)**

დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 19.02.2019 №4 დადგენილებით

კითხვარს წარმოადგენენ სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები, განურჩევლად ორგანიზაციულ-სამართლებრივი, საკუთრების ფორმისა და საწარმოს ზომისა, არა უგვიანეს მიმდინარე წლის 21 მაისისა (სეზონური ფუნქციონირების შემთხვევაში, არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ივნისისა) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ტერიტორიული ორგანოს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფში.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, საქსტატის მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური. პასუხისმგებლობა ინფორმაციის წარუდგენლობისათვის გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $177^{12}$ მუხლით.

ინდივიდუალური მონაცემები ითვლება კონფიდენციალურად და დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესით. ამასთან, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.

**რუხი ფერის უჯრები ივსება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში.**

**კითხვარი შეივსება 2022 წლის შედეგების საფუძველზე, დარიცხვის მეთოდის მიხედვით.**

ინტერვიუერი: ______________________ ______________________

სახელი, გვარი ხელმოწერა

საწარმოს **სრული დასახელება**

______________________

______________________

______________________

**სტატისტიკური რეესტრის საიდენტიფიკაციო ნომერი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|

**გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი**

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**ხელმძღვანელი**

______________________

(სახელი, გვარი)

______________________

(ხელმოწერა)

ოსფკ-ის კოდი

| | |
|---|---|

## 1. საიდენტიფიკაციო მონაცემები

| | | | |
|---|---|---|---|
| I | **იურიდიული** მისამართი (სარეგისტრაციო დოკუმენტის მიხედვით) | ........ (მუნიციპალიტეტი)<br>........ (ქალაქი, დაბა, თემი) *გთხოვთ ხაზი გაუსვათ ერთ-ერთს<br>........ (სოფელი)<br>........ (ქუჩა და სხვა მისამართი) | საფოსტო ინდექსი ☐☐☐☐<br>ატეკ-ის კოდი ☐☐☐☐ |
| | **ფაქტიური** მისამართი[1] | ........ (მუნიციპალიტეტი)<br>........ (ქალაქი, დაბა, თემი) *გთხოვთ ხაზი გაუსვათ ერთ-ერთს<br>........ (სოფელი)<br>........ (ქუჩა და სხვა მისამართი) | საფოსტო ინდექსი ☐☐☐☐<br>ატეკ-ის კოდი ☐☐☐☐ |

[1]- სასტუმროს (სასტუმროს ტიპის დაწესებულების) ფაქტიური მისამართი განისაზღვრება იმ ტერიტორიის მისამართით, სადაც ფაქტიურად მდებარეობს სასტუმრო. იმ შემთხვევაში, როდესაც (საწარმოს) დაწესებულებას გააჩნია ორი ან რამდენიმე სასტუმრო ან სასტუმროს ტიპის დაწესებულება, ფაქტიური მისამართი იქნება იმ ადგილობრივი ერთეულის (სასტუმროს) მისამართი, რომელიც წლიური ბრუნვის უდიდესი მოცულობით გამოირჩევა. იმ შემთხვევაში, თუ სათაო ოფისიდან ხდება მხოლოდ მენეჯმენტი – ფაქტიური მისამართია ადგილობრივი ერთეულის მისამართი.

| | |
|---|---|
| II საწარმოს (ხელმძღვანელის) რეკვიზიტები | |
| ტელეფონის ნომერი | (შიდა ნომერი) |
| მობილური ტელეფონის ნომერი | |
| ფაქსის ნომერი | |
| ელ. ფოსტის მისამართი | |
| ვებ-გვერდის მისამართი | http:\\www |
| III საკორესპოდენციო რეკვიზიტები (თუ საწარმო სარგებლობს აუდიტორული ან საბუღალტრო კომპანიის მომსახურებით, მიუთითებს ამ კომპანიის რეკვიზიტებს, ხოლო თუ არ სარგებლობს ამ მომსახურებით – **მიუთითებს მთავარი ბუღალტრის ან იმ პიროვნების პირად რეკვიზიტებს, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული კითხვარის შევსებაზე.** ამ შემთხვევაში კომპანიის დასახელება არ შეივსება) | (კომპანიის დასახელება)<br>(სახელი, გვარი)<br>(მუნიციპალიტეტი) საფოსტო ინდექსი<br>(ქალაქი, დაბა, თემი) * გთხოვთ ხაზი გაუსვათ ერთ-ერთს<br>(სოფელი)<br>(ქუჩა და სხვა მისამართი) **ატეკო**-ის კოდი |
| ტელეფონის ნომერი | (შიდა ნომერი) |
| მობილური ტელეფონის ნომერი | |
| ფაქსის ნომერი | |
| ელ.ფოსტის მისამართი | |
| IV საკუთრების ფორმა (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის შემთხვევაში - საწესდებო კაპიტალის სტრუქტურის მიხედვით) | პროცენტი (მეათედი ნიშნით) **სფკ**-ის კოდი<br>კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)<br>კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)<br>სახელმწიფო<br>თვითმმართველობა |
| *** - დამფუძნებელი ქვეყნები** (გთხოვთ, დააფიქსიროთ) | |

1. სასტუმროების[1] რაოდენობა | | |

| 1.1 სასტუმროს დასახელება | | |
|---|---|---|
| 1.2 ფაქტიური მისამართი | მუნიციპალიტეტი | |
| | ქალაქი, დაბა, თემი<br>*გთხოვთ ხაზი გაუსვათ ერთ-ერთს | |
| | სოფელი | |
| | ქუჩა და სხვა მისამართი | |
| 1.3 სეზონური საქმიანობა<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა) | კი ☐ არა ☐ | |

**1.4 დაწესებულების ტიპი, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით** *(გთხოვთ, X-ით მონიშნოთ ერთი პასუხი)*

| კოდი | ეკონომიკური საქმიანობის სახე | |
|---|---|---|
| 55.10.1 | სასტუმრო და განთავსების მსგავსი საშუალება რესტორნით | |
| 55.10.2 | სასტუმრო და განთავსების მსგავსი საშუალება რესტორნის გარეშე | |
| 55.20.0 | დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალება | |
| 55.30.0 | კემპინგის მოედანი, ავტოფურგონის მოედანი ან ტრეილერ-პარკი | |

**2.სასტუმროს ძირითადი მაჩვენებლები** (წლის ბოლოსათვის)

**2.1**

| | სტრ. № | ზომის ერთეული | სულ |
|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | 1 |
| ექსპლუატაციაში შესვლის წელი | 1 | X | |
| საერთო ფართობი | 4 | კვ.მ | |
| ყველა ნომრის საცხოვრებელი ფართობი | 6 | კვ.მ | |
| ტერიტორიის (მიწის) საერთო ფართობი | 7 | კვ.მ | |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა | 8 | კაცი | |
| აქედან რესტორნებში, ბარებში და კვების სხვა ობიექტებში | 9 | კაცი | |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობიდან ქალები | 10 | კაცი | |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობიდან დაქირავებულები | 11 | კაცი | |

**2.2 ნომრების და ადგილების რაოდენობა** (ერთეული)

| | სტრ. № | სულ | მათ შორის | | ადგილების საერთო რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | შხაპით | უშხაპოდ | |
| ა | ბ | 1 | 2 | 3 | 4 |
| ნომრების საერთო რაოდენობა (2-5 სტრ. ჯამი) | 1 | | | | |
| მათ შორის: ლუქსი | 2 | | | X | |
| ერთადგილიანი | 3 | | | | X |
| ორადგილიანი | 4 | | | | X |
| სამადგილიანი | 5 | | | | X |
| ოთხადგილიანი | 6 | | | | X |
| ხუთი და მეტ ადგილიანი | 7 | | | | |

**2.3 გააჩნია თუ არა სასტუმროს ერთი ნომერი მაინც, რომელიც მორგებულია შშმ პირების საჭიროებებზე?**

**დიახ** ☐ **არა** ☐

[1] იგულისხმება სასტუმრო, სასტუმროს ტიპის დაწესებულება და განთავსების სხვა საშუალება.

**3. სასტუმროს დატვირთვის მაჩვენებლები** (ერთეული)

| | სტრ. № | რაოდენობა |
|---|---|---|
| ა | ბ | 1 |
| სასტუმროს მუშაობის დღეთა რაოდენობა წელიწადში | 1 | |
| სასტუმროში სტუმართა ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა (ღამე) | 2 | |
| ხელმისაწვდომი ადგილ-დღეების რაოდენობა წელიწადში | 3 | |
| დაკავებული ადგილ-დღეების რაოდენობა წელიწადში | 4 | |
| სასტუმროს ადგილების დატვირთვის მაჩვენებელი წელიწადში (პროცენტი) | 5 | |
| ხელმისაწვდომი ოთახ-დღეების რაოდენობა წელიწადში | 6 | |
| დაკავებული ოთახ-დღეების რაოდენობა წელიწადში | 7 | |
| სასტუმროს ოთახების დატვირთვის მაჩვენებელი წელიწადში (პროცენტი) | 8 | |

**4. ეკონომიკური და საფინანსო მაჩვენებლები** (ათასი ლარი)

| | სტრ. № | სულ |
|---|---|---|
| ა | ბ | 1 |
| **შემოსავლები, სულ (დღგ-სა და აქციზის გარეშე)(2-7 სტრ. ჯამი)**<br>მათ შორის: | 1 | |
| ნომრებით სარგებლობიდან | 2 | |
| კვების ობიექტების (რესტორნების, ბარების და ა.შ.) მომსახურებიდან | 4 | |
| დამატებითი მომსახურებიდან | 5 | |
| ფიქსირებული აქტივების (ძირითადი კაპიტალის) იჯარიდან | 6 | |
| სხვა სახის შემოსავლები | 7 | |
| **ხარჯები, სულ (9-10 სტრ. ჯამი)** | 8 | |
| მათ შორის: | | |
| დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე | 9 | |
| სხვა ხარჯები | 10 | |

**5. ნომრის საშუალო დღიური ფასი** (ლარი)

| | | **საუზმით (BB)** | **ორჯერადი კვებით (HB)** | **სამჯერადი კვებით (FB)** | **კვების გარეშე (RO)** |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | 1 | 2 | 3 | 4 |
| **ლუქსი** | იანვარი | | | | |
| | აპრილი | | | | |
| | ივლისი | | | | |
| | ოქტომბერი | | | | |
| **ერთადგილიანი** | იანვარი | | | | |
| | აპრილი | | | | |
| | ივლისი | | | | |
| | ოქტომბერი | | | | |
| **ორადგილიანი** | იანვარი | | | | |
| | აპრილი | | | | |
| | ივლისი | | | | |
| | ოქტომბერი | | | | |
| **სამადგილიანი** | იანვარი | | | | |
| | აპრილი | | | | |
| | ივლისი | | | | |
| | ოქტომბერი | | | | |
| **ოთხადგილიანი** | იანვარი | | | | |
| | აპრილი | | | | |
| | ივლისი | | | | |
| | ოქტომბერი | | | | |
| **ხუთი და მეტ ადგილიანი** | იანვარი | | | | |
| | აპრილი | | | | |
| | ივლისი | | | | |
| | ოქტომბერი | | | | |

6. სტუმართა განაწილება წლის განმავლობაში ქვეყნებისა და ჩამოსვლის მიზნის მიხედვით (კაცი)

| | | სტუმართა რაოდენობა სულ | მათ შორის ჩამოსვლის მიზნის მიხედვით: | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დასვენება და რეკრეაცია | საქმიანი და პროფესიული | მკურნალობა | სხვა მიზნები |
| ა | ბ | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| **სულ (სტრ.02+სტრ.03)** | 01 | | | | | |
| მათ შორის: | | | | | | |
| საქართველოდან | 02 | | | | | |
| **საზღვარგარეთიდან (სტრ.04+სტრ.31+სტრ.43)** | 03 | | | | | |
| მათ შორის: | | | | | | |
| **ევროკავშირის ქვეყნებიდან (სტრ.05 - სტრ.30 ჯამი)** | 04 | | | | | |
| მათ შორის: | | | | | | |
| ავსტრია | 05 | | | | | |
| ბელგია | 06 | | | | | |
| ბულგარეთი | 07 | | | | | |
| გერმანია | 08 | | | | | |
| დანია | 09 | | | | | |
| ესპანეთი | 10 | | | | | |
| ესტონეთი | 11 | | | | | |
| ირლანდია | 12 | | | | | |
| იტალია | 13 | | | | | |
| კვიპროსი | 14 | | | | | |
| ლატვია | 15 | | | | | |
| ლიეტუვა | 16 | | | | | |
| ლუქსემბურგი | 17 | | | | | |
| მალტა | 18 | | | | | |
| ნიდერლანდები (ჰოლანდია) | 19 | | | | | |
| პოლონეთი | 20 | | | | | |
| პორტუგალია | 21 | | | | | |
| რუმინეთი | 22 | | | | | |
| საბერძნეთი | 23 | | | | | |
| საფრანგეთი | 24 | | | | | |
| სლოვაკეთი | 25 | | | | | |
| სლოვენია | 26 | | | | | |
| უნგრეთი | 27 | | | | | |
| ფინეთი | 28 | | | | | |
| შვედეთი | 29 | | | | | |
| ჩეხეთი | 30 | | | | | |
| **დსთ-ს ქვეყნებიდან (სტრ.32 - სტრ.42 ჯამი)** | 31 | | | | | |
| მათ შორის: | | | | | | |
| აზერბაიჯანი | 32 | | | | | |
| ბელარუსი | 33 | | | | | |
| თურქმენეთი | 34 | | | | | |
| მოლდოვა | 35 | | | | | |
| რუსეთი | 36 | | | | | |
| სომხეთი | 37 | | | | | |
| ტაჯიკეთი | 38 | | | | | |
| უზბეკეთი | 39 | | | | | |
| უკრაინა | 40 | | | | | |
| ყაზახეთი | 41 | | | | | |
| ყირგიზეთი | 42 | | | | | |
| **სხვა ქვეყნებიდან (სტრ.44- სტრ.58 ჯამი)** | 43 | | | | | |
| აქედან: (გთხოვთ გააკეთოთ ქვეყნების ჩამონათვალი): | | | | | | |
| | 44 | | | | | |
| | 45 | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 46 | | | | | |
| | 47 | | | | | |
| | 48 | | | | | |
| | 49 | | | | | |
| | 50 | | | | | |
| | 51 | | | | | |
| | 52 | | | | | |
| | 53 | | | | | |
| | 54 | | | | | |
| | 55 | | | | | |
| | 56 | | | | | |
| | 57 | | | | | |
| | 58 | | | | | |

კითხვარის შევსებაზე დახარჯული დრო ______ სთ. ______ წთ.

წინამდებარე კითხვარი შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე:
http:\\www.geostat.ge
გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

**მითითებები სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევის კითხვარის შევსებისათვის**

სტატისტიკური დაკვირვების ობიექტს წარმოადგენენ სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა).

➢ **სასტუმროების რაოდენობაში** გაითვალისწინება სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულების სათაო ოფისი, ფილიალები, წარმომადგენლობები, აგრეთვე სხვადასხვა მისამართზე განლაგებული ადგილობრივი ერთეულები, რომლებიც შეადგენენ სასტუმროს (სასტუმროს ტიპის დაწესებულებას) ერთიან ქსელს.

➢ **55.10 „სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების“** კლასი მოიცავს განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას, ჩვეულებრივ დღეებით ან კვირაობით, უპირატესად მოკლევადიანი პერიოდით ჩამოსული ვიზიტორებისათვის. აქ შედის კეთილმოწყობილი განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა სასტუმრო ოთახებში ან ლუქსის ტიპის ნომრებში. მომსახურება შეიცავს ყოველდღიურ დალაგებას და ლოგინის გაწყობას. შესაძლებელია დამატებითი მომსახურებით უზრუნველყოფა, როგორიცაა საკვების და სასმელების მიწოდება, პარკირება, სამრეცხაოს მომსახურება, აუზები და სატრენაჟორო დარბაზები, სარეკრეაციო საშუალებები, საკონფერენციო და სათათბირო დარბაზები. აღნიშნული კლასი იყოფა ორ ქვეკლასად - **55.10.1 „სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით“** და **55.10.2 „სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე“.**

<u>აღნიშნული კლასი მოიცავს:</u>

- სასტუმროებს,
- საკურორტო სასტუმროებს,
- ლუქსი ტიპის სასტუმროებს და აპარტამენტებს,
- მოტელებს.

<u>არ მოიცავს</u>

- სახლებით, კეთილმოწყობილი ან კეთილმოუწყობელი ბინებით ან აპარტამენტებით უზრუნველყოფას უფრო ხანგრძლივი გამოყენებისათვის, ჩვეულებრივ თვეობით ან წლობით.

➢ **55.20.0 „დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების“** ქვეკლასი მოიცავს იზოლირებული განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას კეთილმოწყობილი ოთახების ან ფართობის სახით, რომლებიც განკუთვნილია საცხოვრებლად, სასადილოდ და დასაძინებლად, სამზარეულო საკუთნოების ან სრულად აღჭურვილი სამზარეულოს ჩათვლით, ჩვეულებრივ დღეებით ან კვირაობით, ძირითადად მოკლევადიანი პერიოდით ჩამოსული ვიზიტორებისათვის. ეს შეიძლება იყოს აპარტამენტები მრავალსართულიან შენობებში ან ბლოკებში განლაგებული ბინები, ან ერთსართულიანი ბუნგალოები, შალეები, კოტეჯები ან ქოხები. შესაძლებელია მხოლოდ მინიმალური დამატებითი მომსახურების გაწევა.

<u>აღნიშნული კლასი მოიცავს:</u>

- ბავშვთა და სხვა დასასვენებელ სახლებს,
- ბინებს და ბუნგალოებს ვიზიტორებისათვის,
- კოტეჯებს და ქოხებს მომსახურების გარეშე,
- ახალგაზრდულ ჰოსტელებს და სამთო ბანაკებს.

<u>არ მოიცავს:</u>

- კეთილმოწყობილი მოკლევადიანი განთავსების საშუალებებს დალაგების, ლოგინის გაწყობის, საკვების და სასმელების მიწოდებით,
- სახლებით და კეთილმოწყობილი და კეთილმოუწყობელი ბინებით ან აპარტამენტებით უზრუნველყოფას უფრო ხანგრძლივი სარგებლობისათვის, ჩვეულებრივ თვეობით ან წლობით

➢ <u>55.30.0 „კემპინგის მოედანი, ავტოფურგონის მოედანი ან ტრეილერ-პარკი“ მოიცავს</u>:

- ვიზიტორების მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფას კემპინგის მოედნებზე, ტრეილერ-პარკებში, სარეკრეაციო და დასასვენებელ კემპინგებში, სამონადირეო და სათევზაო ადგილებში;
- ადგილებით და მომსახურებით უზრუნველყოფას ავტოფურგონებისათვის;
- თავშესაფრებით ან თავისუფალი ადგილებით უზრუნველყოფას კარვების და/ან საძილე ტომრების განსათავსებლად.

**<u>არ მოიცავს</u>** სამთო ბანაკებს, ქოხებს და ჰოსტელებს

➢ ***რეზიდენტი*** - ფიზიკური პირი, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.

➢ ***არარეზიდენტი*** - ფიზიკური პირი, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, უცხოელი სტუდენტები და პაციენტები.

➢ **2. ძირითადი მაჩვენებლები - 2.1 ცხრილი:**

- პირველ სტრიქონში (ექსპლუატაციაში შესვლის წელი) უნდა მიეთითოს წელი, როდესაც სასტუმრო[2] შევიდა ექსპლუატაციაში პირველად.
- მე-4 სტრიქონში (მათი საერთო ფართობი) აისახება სასტუმროს საერთო ფართობი, ეს არის ჯამი ყველა ნომრის, დამხმარე სათავსოებისა და შენობების (სამზარეულო, აბაზანა, ტუალეტი, შემნახველი საკანი, ბუფეტი, საწყობი, საყოფაცხოვრებო ოთახი, დერეფანი, ვესტიბიული, ჰოლი, გარდერობი, ადმინისტრატორის ოთახი და ა.შ.) ფართობებისა. საერთო ფართობში არ შეიტანება კიბეებით, ტამბურებით, აივნებით, ლოჯიებით დაკავებული ფართობი.
- მე-6 სტრიქონში მიეთითება ყველა ნომრის საცხოვრებელი ფართობი.
- მე-7 სტრიქონში (ტერიტორიის (მიწის) საერთო ფართობი) მიეთითება მიწის ფართობი, რაზეც განთავსებულია სასტუმრო დამხმარე შენობა-ნაგებობების, ეზოების და სხვა ტერიტორიის ჩათვლით.
- მე-8 სტრიქონში (დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა) აისახება სასტუმროში დასაქმებულების საშუალო თვიური რაოდენობა, ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის და სასტუმროს ბალანსზე მყოფი დამხმარე საწარმოების მუშაკების (რესტორნების, ბარების, სილამაზის სალონის თანამშრომლები და ა.შ) ჩათვლით, საანგარიშო წლის განმავლობაში.
- მე-9 სტრიქონში მიეთითება სასტუმროში არსებულ რესტორნებში, ბარებში და კვების სხვა ობიექტებში დასაქმებულთა რაოდენობა,
- მე-10 სტრიქონში - სასტუმროში დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობიდან ქალების რაოდენობა,
- მე-11 სტრიქონში - სასტუმროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა.

➢ **2. ძირითადი მაჩვენებლები - 2.2 ცხრილი:**

- პირველი სვეტის პირველ სტრიქონში უნდა მიეთითოს ნომრების (ოთახების) საერთო რაოდენობა. აღნიშნული სტრიქონი ტოლი უნდა იყოს 2, 3, 4, 5, 6 და 7 სტრიქონების ჯამის.
- მე-4 სვეტის პირველ სტრიქონში უნდა ჩაიწეროს საწოლი ადგილების საერთო რაოდენობა (არ ჩაითვლება იმ საწოლების რაოდენობა, რომლებიც დამატებით ჩადგეს).
- მე-4 სვეტის მე-7 სტრიქონში უნდა ჩაიწეროს ხუთ და მეტადგილიან ნომრებში არსებული საწოლი ადგილების საერთო რაოდენობა. ამასთან, სტრ.1 სვ.4 = სტრ.2 სვ.4 +სტრ.3 სვ.1 X 1 + სტრ.4 სვ.1 X 2 + სტრ.5 სვ.1 X 3 + სტრ.6 სვ.1 X 4 + სტრ.7 სვ.4.

➢ 2.3 კითხვის პასუხად უნდა დაფიქსირდეს „დიახ“, თუ სასტუმროში არსებობს ერთი ნომერი მაინც, რომელიც მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე, კერძოდ, ერთი ნომერი მაინც არის მოწყობილი იმგვარად, რომ შშმ პირმა დამოუკიდებლად შეძლოს აღნიშნული ნომრით სარგებლობა. სხვა შემთხვევაში უნდა მოინიშნოს „არა“ პასუხი.

➢ **3. სასტუმროს დატვირთვის მაჩვენებლები**

- პირველ სტრიქონში აისახება სასტუმროს მუშაობის დღეთა რაოდენობა წელიწადში. იგულისხმება ის დღეები, როცა სასტუმრო მზად იყო სტუმრის მისაღებად, მიუხედავად იმისა, ჰყავდა თუ არა რეალურად სტუმრები. შესაძლოა, სასტუმრო სტუმრების მისაღებად მზად იყო 365 დღე, თუმცა 40 დღე არ ჰყავდა სტუმარი, ამ შემთხვევაში ჩაიწერება 365. შესაძლოა, სასტუმრო მუშაობს სეზონურად, მაგალითად, მხოლოდ ზაფხულის განმავლობაში, ხოლო წელიწადის სხვა პერიოდში დახურულია და არ არის მზად სტუმრების მისაღებად, ამ შემთხვევაში ჩაიწერება 92 (ივნისი-აგვისტოს პერიოდი).
- მე-2 სტრიქონი, სასტუმროში სტუმართა ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა (ღამე), უნდა შეივსოს შემდეგი წესით: ვთქვათ, სასტუმროში წლის განმავლობაში იყო 25 სტუმარი, ამათგან 2 სტუმარი გაჩერდა 10 ღამე, 3 სტუმარი - 15 ღამე, 20 სტუმარი - 3 ღამე. სასტუმროში სტუმართა ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა იქნება: ((2X10)+(3X15)+(20X3))/25=5 ღამე. აღნიშნული მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 365 ღამეს.
- მე-3 სტრიქონი მოიცავს წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი ადგილ-დღეების რაოდენობას და უნდა შეივსოს შემდეგი წესით: ვთქვათ, სასტუმროში არის 10 საწოლი ადგილი (იგულისხმება ადგილების და არა საწოლების რაოდენობა. მაგალითად, 2 ადგილიანი საწოლი განიხილება 2 საწოლ ადგილად) და სასტუმრო

---

[2] იგულისხმება სასტუმრო, სასტუმროს ტიპის დაწესებულება და განთავსების სხვა საშუალება.

მუშაობდა 200 დღე, საიდანაც 50 დღე არცერთი ნომერი არ ჰქონდა გაქირავებული. მიუხედავად ამისა, ხელმისაწვდომი ადგილ-დღეების რაოდენობა იქნება 10X200=2000. თუ აღნიშნულ 10 საწოლ ადგილს ბოლო თვეში დაემატა 5 საწოლი ადგილი, ხელმისაწვდომი ადგილ-დღეების რაოდენობა იქნება 10X200+5X30=2150.

- მე-4 სტრიქონი მოიცავს წლის განმავლობაში დაკავებული ადგილ-დღეების რაოდენობას და უნდა შეივსოს შემდეგი წესით: ვთქვათ, სასტუმროში არის 10 საწოლი ადგილი. წლის განმავლობაში 5 საწოლი ადგილი დაკავებული იყო 40 დღე, 3 საწოლი ადგილი - 100 დღე, 2 საწოლი ადგილი - 150 დღე. დაკავებული ადგილ-დღეების რაოდენობა წლის განმავლობაში იქნება: (5X40)+(3X100)+(2X150)=800.
- მე-5 სტრიქონში, სასტუმროს ადგილების დატვირთვის მაჩვენებელი წელიწადში, უნდა ჩაიწეროს ადგილების რამდენ პროცენტიანი დატვირთულობა ჰქონდა წელიწადში სასტუმროს.
- მე-6 სტრიქონი, ხელმისაწვდომი ოთახ-დღეების რაოდენობა წელიწადში, უნდა შეივსოს შემდეგი წესით: ვთქვათ, სასტუმროში არის 100 ოთახი და სასტუმროს მუშაობის დღეთა რაოდენობა იყო 90 დღე წელიწადში. აქედან, 75 ოთახი ხელმისაწვდომი იყო 90 დღის განმავლობაში. დანარჩენი 25 ოთახი ხელმისაწვდომი იყო 30 დღის განმავლობაში (დაემატა ბოლო თვეში). აქედან გამომდინარე, ხელმისაწვდომი ოთახ-დღეების რაოდენობა წლის განმავლობაში დაითვლება შემდეგნაირად: (75X90)+(25X30)=6750+750=7500.
- მე-7 სტრიქონი, დაკავებული ოთახ-დღეების რაოდენობა წელიწადში, უნდა შეივსოს შემდეგი წესით: ვთქვათ, სასტუმროში არის 100 ოთახი. აქედან, 50 ოთახი წლის განმავლობაში დაკავებული იყო 80 დღის განმავლობაში. დანარჩენი 50 ოთახი დაკავებული იყო 55 დღის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, დაკავებული ოთახ-დღეების რაოდენობა წელიწადში გამოიანგარიშება შემდეგი წესით: (50X80)+(50X55)=4000+2750=6750.
- მე-8 სტრიქონში, სასტუმროს ოთახების დატვირთვის მაჩვენებელი წელიწადში, უნდა ჩაიწეროს ნომრების რამდენ პროცენტიანი დატვირთულობა ჰქონდა წელიწადში სასტუმროს.

➢ **4 განყოფილების** პირველ სტრიქონში მიეთითება შემოსავლის მთლიანი თანხა დღგ-სა და აქციზის გარეშე, ამასთან, კვების დაწესებულების მქონე სასტუმროსათვის - ბრუნვის მთლიანი მოცულობა. შემოსავლის მთლიანი მოცულობიდან (სტრ.1) გამოიყოფა: შემოსავალი ნომრებით სარგებლობიდან, რომელიც მოიცავს მოქმედი ტარიფების მიხედვით მუდმივი და დროებითი (დამატებითი) ადგილებით სარგებლობიდან, ადგილებისა და ნომრების დაჯავშნიდან მიღებული თანხების ჯამს (სტრ.2); შემოსავალი კვების ობიექტების (რესტორნების, ბარების და ა.შ.) მომსახურებიდან (სტრ. 4); შემოსავალი დამატებითი მომსახურებიდან (სტრ. 5), რომელიც მოიცავს ბარგის მიტანას და შენახვას, ყველა სახის ტრანსპორტზე, სხვადასხვა სანახაობებზე დასასწრებად ბილეთების შეძენას და მიტანას, ნომრიდან სატელეფონო საუბარს, ექსკურსიების ორგანიზებას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლით სარგებლობას (ტელევიზორი, მაცივარი, ჭურჭელი, უთო და სხვ.) და ა.შ. ზემოთ ჩამოთვლილი დამატებითი მომსახურების ღირებულება ცალკე არ აღირიცხება, თუ ის გათვალისწინებულია ნომრით სარგებლობით ღირებულებაში, ან შინაგანი წესით გათვალისწინებულია მათზე უფასო მომსახურების გაწევა. მე-6 სტრიქონში მიეთითება შემოსავალი არასაცხოვრებელი შენობების და სხვა ქონების იჯარით გაცემიდან, მე-7 სტრიქონში - სხვა სახის შემოსავლები, რომლებიც გააჩნია სასტუმროს (მაგალითად, საპროცენტო შემოსავალი). მე-8 სტრიქონში აისახება სასტუმროს მიერ გაწეული ყველა სახის ხარჯი, რომლისგანაც გამოიყოფა: ხარჯები დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე (სტრ.9), რომელიც დაერიცხა დაქირავებულ პერსონალს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) წლის განმავლობაში და სხვა ხარჯები (სტრ. 10), როგორებიცაა საქონელზე გაწეული, კომუნალური, საგადასახადო, საპროცენტო, მიმდინარე რემონტის, დაზღვევის და სხვ.

➢ **5 განყოფილებაში** უნდა აისახოს ლუქსის, ერთადგილიანი, ორადგილიანი, სამადგილიანი, ოთხადგილიანი, ხუთი და მეტადგილიანი ნომრების ღირებულება (საუზმის, ორჯერადი კვების, სამჯერადი კვების ღირებულების ჩათვლით და კვების გარეშე) იანვარში, აპრილში, ივლისსა და ოქტომბერში.

➢ **6 განყოფილებაში - სტუმართა განაწილება წლის განმავლობაში ქვეყნებისა და ჩამოსვლის მიზნის მიხედვით** - უნდა მიეთითოს სასტუმროს სტუმართა რაოდენობა ქვეყნებისა და ჩამოსვლის მიზნის მიხედვით. კერძოდ, დასვენება და რეკრეაცია, საქმიანი და პროფესიული, მკურნალობა და სხვა მიზნები (ნაცნობების და ნათესავების მონახულება, ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, საქორწილო მოგზაურობა, აქვე ჩაირთვებიან საჰაერო და საზღვაო ხომალდის ეკიპაჟები, სატრანზიტო მგზავრები და ა.შ.)

➢ **6 განყოფილების** 05 - 58 სტრიქონებში გაკეთდება ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, საიდანაც ჩამოვიდნენ სტუმრები.